საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/296

ქ. ბათუმი 15 დეკემბერი, 2022 წ.

„ ბსუ-ში 2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 დეკემბრის N01-02/283 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლს, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის № 36 დადგენილების, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის 2022 წლის 13 დეკემბრის MES 1 22 0001600050 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. „ბსუ-ში 2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 02 დეკემბრის N01-02/283 ბრძანების პირველ და მეორე პუნქტში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. გამოცხადდეს ბსუ-ში 2023 წლის 01 თებერვლიდან 2023 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით განსახორციელებელი 2023 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი შემდეგ მიმართულებებში:

1.1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
1.2 მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები;
1.3. ინჟინერია, ტექნოლოგიები
1.4. აგრარული მეცნიერებები;
1.5. ეკონომიკა და ბიზნესი;
1.6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
1.7. სოციალური მეცნიერებები;
1.8. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
1.9. ინტერდისციპლინური კვლევები.

2. 2023 წლისათვის განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საერთო ბიუჯეტი განისაზღვროს 270 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.9.) დასაფინანსებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ბიუჯეტი (საერთო ღირებულება) არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს;
ბ) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.9.) ახალგაზრდა მკვლევართა (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო 7 წლის პერიოდში) მიერ წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს.''

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში „კონკურსები" და „ბსუ-ს სამართლებრივი აქტები").
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**